ყოველთვიური მაკროეკონომიკური ბიულეტენი

თებერვალი, 2017 წელი[1]

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- იანვარში, წინასწარი შეფასებით, ეკონომიკურმა ზრდამ 5.2% შეადგინა
- თებერვალში წლიური ინფლაცია 5.5%-ს გაუტოლდა
- თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.2%-ით გამყარდა, ხოლო წინა წლის თებერვალთან შედარებით 6.1%-ით გაუფასურდა

რეალური და ფისკალური სექტორების ინდიკატორები

იანვარში ეკონომიკური ზრდა მაღალ ნიშნულზე დაფიქსირდა. 2017 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპმა 5.2% შეადგინა, რაც ძირითადად ერთობლივი მოთხოვნის ზრდით იყო განპირობებული. ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიური გავლენა იქონია ინვესტიციების გააქტიურებამ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2017 წლის იანვარში რეალური მშპ-ის ანუალიზებულმა ზრდის ტემპმა[2] 2.9% შეადგინა.



თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია კვლავ ზრდის ტენდენციას ავლენს. 2017 წლის თებერვალში, წინა წლის თებერვალთან მიმართებით, ინფლაციის დონემ 5.5% შეადგინა, რაც მეტია მიზნობრივი ინფლაციის 4%-იან მაჩვენებელთან შედარებით. ინფლაციის დონის მატება უკავშირდება 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მონეტარული პოლიტიკის შერბილებას, აგრეთვე ზოგიერთ სამომხმარებლო საქონელზე და განსაკუთრებით იმპორტირებულ საწვავზე აქციზის გადასახადის ზრდას. 2017 წლის იანვარში მშპ-ის წლიურმა დეფლატორმა 6.0% შეადგინა.



---

[1] *შენიშვნა:* ეკონომიკური მაჩვენებლების გამოქვეყნების ვადებიდან გამომდინარე ცალკეული ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოდგენილია საანგარიშოს წინა თვის მდგომარეობით.

[2] ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და ეკონომიკის განვითარების ტენდენციას უჩვენებს

იანვარში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა. 2017 წლის იანვარში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 31.9%-ით, ხოლო ხარჯები - 5.1%-ით აღემატებოდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო (მთავრობის დანაზოგები) 142 მლნ ლარით, ხოლო მთლიანი სალდო 132 მლნ ლარით განისაზღვრა.



იანვარში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს. 2017 წლის იანვარში, წინა წლის იანვართან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 18%-ით მოიმატა და 19.3 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა 17.3%-ით, ხოლო ლარში გაცემულმა სესხებმა 19.9%-ით მოიმატა.



საგარეო სექტორის ინდიკატორები[3]

იანვარში, საქონლის ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს. 2017 წლის იანვარში, წინა წლის იანვართან შედარებით, ექსპორტი მნიშვნელოვნად (45%-ით), ხოლო იმპორტი 15%-ით გაიზარდა. სავაჭრო ბრუნვის მატება დიდწილად განპირობებული იყო წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ექსპორტის ზრდით, მათ შორის: თურქეთში- 77%-ით, აზერბაიჯანში - 145%-ით, რუსეთში - 229%-ით.



იანვარში, ფულადი გზავნილების ზრდის წლიური ტემპი გასულ თვეებთან შედარებით გაზრდილია. 2017 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფულადმა გზავნილებმა 26.1%-ით მოიმატა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 32.3%) და რუსეთი (31.5%) წარმოადგენს. საანალიზო პერიოდში გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა ისრაელიდან (99%-ით), აგრეთვე აზერბაიჯანიდან (54%-ით), თურქეთიდან (44%-ით) და სხვა.



თებერვალში, საერთაშორისო რეზერვები გასულ თვესთან შედარებით მცირედი კლების, თუმცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით არსებითი ზრდის ტენდენციას ავლენს. 2017 წლის თებერვალში მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 2,781 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან მიმართებით მცირედით (0.6%-ით) ნაკლებია, მაგრამ წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 14.6%-ით აღემატება. 2016 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში სებ-ის მიერ სავალუტო აუქციონებზე განხორციელდა 278 მლნ აშშ დოლარის შეძენა, ხოლო აგვისტო-დეკემბრის პერიოდში რეზერვებიდან 220 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა.



[3] ***შენიშვნა:*** 2016 წლის სექტემბრიდან ბიულეტენებში შესწორდა საგარეო ვაჭრობის მონაცემები, იმპორტში C ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების ამორიცხვით. წინა თვეების ბიულეტენებში კი აღნიშნული მაჩვენებლები C ჰეპატიტის მედიკამენტების ჩათვლით იყო წარმოდგენილი.

მონეტარული სექტორის ინდიკატორები

იანვარში სარეზერვო ფულის მასის წლიური ზრდა 31%-ს გაუტოლდა. 2017 წლის იანვარში, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა 31.0%-ით გაიზარდა, ფულის M2 აგრეგატმა 16.9%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 21.3%-ს გაუტოლდა. 2017 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 3.9% შეადგინა.



იანვარში დეპოზიტების დოლარიზაციამ ზრდა განაგრძო, ხოლო სესხების დოლარიზაცია კვლავ უმნიშვნელოდ შეიცვალა. 2017 წლის იანვარში, წინა თვესთან მიმართებით, უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 1.2%-ით გაიზარდა, ხოლო ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2.1%-ით შემცირდა. 2017 წლის იანვარში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა, 2016 წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 2.1%-ული პუნქტით მოიმატა და 70.5%-ით განისაზღვრა.



იანვარში დეპოზიტებსა და სესხებზე საპროცენტო განაკვეთები არსებითად არ შეცვლილა. 2017 წლის იანვარში, წინა თვესთან მიმართებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 0.9%-ული პუნქტით გაიზარდა და 13.6%-ით განისაზღვრა, ხოლო დეპოზიტებზე მცირედით (0.03%-ული პუნქტით) შემცირდა და 4.4% შეადგინა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა(სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) 2017 წლის იანვრის მდგომაროებით 9.1% შეადგინა, ხოლო წინა წლის იანვარში 10.5%-ს უტოლდებოდა.



თებერვალში ლარის კურსი იანვართან შედარებით გამყარების ტენდენციას ავლენს. 2017 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.2%-ით, ხოლო ევროს მიმართ 1.9%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. თუმცა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2016 წლის თებერვალში, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 6.1%-ით, ხოლო ევროს მიმართ 2.0%-ით გაუფასურდა.



რეგიონული მიმოხილვა

თებერვალში რეგიონის ქვეყნებში სამომხმარებლო ფასების ინფლაცია განსხვავებულ დინამიკას ავლენს. კერძოდ, 2017 წლის თებერვალში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 10.1%, ხოლო რუსეთში - 4.6% შეადგინა. დეფლაცია დაფიქსირდა სომხეთში, სადაც ფასების საერთო დონე წინა წლის თებერვალთან შედარებით 0.2%-ით შემცირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2017 წლის იანვრის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11.9%-ით გაიზარდა.



თებერვალში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსის დინამიკა დოლართან მიმართებაში ასევე განსხვავებულია. კერძოდ, 2017 წლის თებერვალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თურქული ლირა დოლართან მიმართებაში 20%-ით, ხოლო აზერბაიჯანული მანათი - 13.5%-ით გაუფასურდა. თითქმის არ შეცვლილა სომხური დრამის კურსი(1.4%-ით გაუფასურება). ამავე პერიოდში რუსული რუბლი დოლართან მიმართებით 31.6 %-ით გამყარდა.



შემაჯამებელი ცხრილი[4] ზრდა კლება ცვლილება < 1%

		იანვ 16	თებ 16	მარტი16	აპრ 16	მაისი 16	ივნ 16	ივლ 16	აგვ 16	სექტ 16	ოქტ 16	ნოემბ 16	დეკ 16	იანვ 17	თებ 17
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი														
	დღგს ბრუნვების ზრდის ტემპი														
მონეტარული სექტორი	ინფლაცია														
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი														
	დეპოზიტების დოლარიზაცია														
	სესხების დოლარიზაცია														
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი														
	გზავნილები														
	ექსპორტი														
	იმპორტი														
	სავაჭრო ბალანსი														
ფისკალური სექტორი	შემოსავლები														
	მიმდინარე ხარჯები														
	კაპიტალური ხარჯები														

*ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები შედარებულია გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან

[4] გაცვლითი კურსის ზრდა ნიშნავს გაუფასურებას, კლება გამყარებას.